ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6046521

ნომერი: AR1911968

თარიღი : 18.07.2022

გაცემის თარიღი : 22.07.2022

გაცნობის თარიღი : 06.09.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა N4;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა აფრიამაშვილი პ/ნ 36001049323
- კახეთის გზატკეცილი 36

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ფორის დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 445587614
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბექა მანველიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61001070508

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 524.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 155.24
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 914.23

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 621.36
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 292.87
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.28
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.78
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## ვბრძანებ

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, იალბუზის ქ. №4-ში, შპს "ფორის დეველოპმენტი"-ს და მოქ. მამუკა მილდიანის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.043.026) არსებული №1/1; №2/1; №3/1 და №4/1 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს დემონტაჟის სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 22 ივლისიდან 2022 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სადემონტაჟო სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.
5. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით. ტერიტორიაზე მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს კომუნიკაციების დაუზიანებლად, გადატანის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ იქნას შეთანხმებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრესთან.
6. დემონტაჟის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან.

---

- კდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.